

ბასილია ძებნილი რომ ყოფილიყო, გაეროში ვერ იმუშავებდა

გაზეთი “ახალი თაობა” – 13-14 თებერვალი, № 36, 2010

“ნოღაიდელი არის ხელისუფლების პროექტი. ხელისუფლებას სჭირდება არაპოპულარული, მოღალატის იმიჯის მქონე პოლიტიკოსი. ხოლო რამდენიმე ბრიყვი თპოზიციური პარტია შემდეგ ნოღაიდელს დაუდგა გვერდზე. შეიძლება ბრიყვები სულაც არ არიან. ფულის სუნი იგრძნეს და იმიტომ დადგნენ. თორემ ქვეყნის ინტერესში არც ნოღაიდელი შედის, არც ის ხალხი, ვინც ნოღაიდელის გვერდით დადგა და არც ის, ვინც მაგათ მოღალატებს ეძახის. სინამდვილეში, ჩემი ღრმა რწმენით, ეს არის ამ ხელისუფლების წაუგებარი თამაში. მისი ერთ-ერთი კარგად გამართული პროექტი”.

გთავაზობთ ინტერვიუს ეკონომიკურ ექსპერტ ლადო პაპავასთან

– ბატონო ლადო, ბოლო დროს საქართველოს მთავრობა არაურთ ეკონომიკურ ინიციატივას გვთავაზობს. პრემიერის თქმით, ეკონომიკური კრიზისი დაძლეულია და ქვეყანა აღმავლობის გზით მიდის. რაზე მიანიშნებს მთავარობის ბოლო ეკონომიკური ინიციატივები?

– მთავრობის ინიციატივებზე რაიმე კონკრეტული დასკვნის გაკეთება საქმაოდ რთულია, რადგან ხშირ შემთხვევაში ეს ინიციატივები არ არის წარმოდგენილი დოკუმენტის სახით, რომლის დეტალური გაცნობაც შეიძლება. ერთადერთი, რაც დოკუმენტურად წარმოდგენილია ეს დეკემბერში მიღებული პრეზიდენტის მიერ ინიცირებული “ეკონომიკური თავისუფლების” აქტია. რაც შეეხება კრიზისის დასრულება-არდასრულებას, ფაქტია, მთავრობას არასდროს უდიარებია, რომ საქართველოში მიმდინარე კრიზისს ეროვნული ფესვები აქვს. ხოლო გლობალური კრიზისი მთელ მსოფლიოში არსად დასრულებულა და არცოუ ოპტიმისტური პროგნოზები კეთდება. ამ ფონზე გაუგებარია საქართველოში ის როგორდა დასრულდა.

- სახელმწიფო ხაზინას მართლაც ფინანსური პრობლემები აქვს?
- ეტყობა, გარკვეული პრობლემები ხაზინას მართლაც გამოეკვეთა იმიტომ, რომ მთელი რიგი ტრანსფერტები, რომლებიც ხაზინას აქვს

გასაკეთებელი, გარკვეული ვადით იგვიანებს. იმედია, ეს არის მხოლოდ დროებითი შეფერხებები და მთავრობა შეძლებს სიტუაციის გამოსწორებას. მაგრამ ცუდი ის არის, რომ მთავრობა სიტუაციის გამოსწორებას ბიზნესში აქტიური ჩარევით ცდილობს, როდესაც ძალოვანი სტრუქტურების დიდი პრესის ქვეშ იმყოფებიან მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები. საბოლოო ჯამში, ეს ქვეყანას იმ შემოსავლებსაც დააკარგვინებს, რის მობილიზებასაც ხაზინაში საქართველოს მთავრობა აქამდე ახერხებდა.

– პრეზიდენტი როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონის შეხვედრებზე მუდმივად აფიქსირებს, რომ საქართველოში ბიზნეს რეკეტი მოისპო, კორუფცია აღარ არის და რომ აქ ყველაზე ითლია ბიზნესის კეთება. ახეა?

– კორუფციას რაც შეეხება, საქართველოში მართლაც სერიოზული პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგა ეწ. წვრილი მექრთამობის კუთხით. პრაქტიკულად კვირა არ გავა, რომ რომელიდაც ჯგუფი არ იყოს დაკავებული მექრთამეობისთვის, ან საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი გამოყენებისთვის. თუმცა აქაც არა ვარ დარწმუნებული, რომ მთავრობის ქმედება ყოველთვის ობიექტურია. თუნდაც ომარ ქუცნაშვილის გახმაურებული საქმე ავიღოთ. სამწუხაროდ, აქ ძალიან ბევრი კითხვის ნიშანია. თუ ქუცნაშვილის საქმეში არ არის მთავრობა ბოლომდე პირნათელი, უფლება გვაქვს ეჭვი შევიტანოთ სხვა საქმეებშიც. იმავდროულად ქვეყანაში გამოიკვეთა ელიტარული კორუფცია, როცა მაღალი თანამდებობის პირები აკონტროლებენ ბიზნესს ახლობლების მეშვეობით. თვითონ არიან ხელისუფლებაში როგორც „ქოლგები“, რომლებიც პროტექციას უწევენ ახლობლების, ანუ პრაქტიკულად თავიანთ ბიზნესს. ამავე დროს არის ბიზნესის ეწ. “ნებაყოფლობითი” იძულება გარკვეული პოლიტიკური, თუ ნაკლებად პოლიტიკური აქციების დასაფინანსებლად. ამის შედეგად მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასები კლებულობს, ჩვენთან კი იმატებს. იგივე ხდება ფარმაცევტულ ბაზარზეც.

– არის ინფორმაცია, რომ ნავთობპროდუქტების ბიზნესს ქვეყანაში პრეზიდენტის ოჯახი აკონტროლებს.

– არ ვიცი, პრეზიდენტის ოჯახი რამდენად არის ამ საქმეში ჩართული, მაგრამ ის, რომ ყველა მსხვილ ბიზნესს აქვს ასეთი შეწერილი თანხები, ეს აშკარაა. რომც გავიგოთ, რომ ამაში პრეზიდენტის ოჯახი არ არის გარეული, ეს ჩვენთვის დიდი შვება მაინც არ იქნება.

– რას ნიშნავს მთავრობის გადაწყვეტილებით საბაჟო და საგადასახადო კოდექსების გაერთიანება და რა დადგებითი უფლები აქვს ამას?

– თუ ერთი საგადასახადო დოკუმენტი ექნება და თან ის იქნება მარტივი, ეს კარგია. ვფიქრობ, აქ მექანიკურ გაერთიანებაზე არ უნდა იყოს ლაპარაკი. ნებისმიერ შემთხვევაში ვეჭვობ, რომ ეს ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლასთან იყოს დაკავშირებული.

– ზემოთ, ეკონომიკური კრიზისი გახსენეთ. პროდუქციაზე ფასები იმატებს. მეორეს მხრივ, ოპოზიცია ირწმუნება, რომ ხელისუფლებას ფინანსების პრობლემა დაუდგა.

– ქვეყანაში არის ეკონომიკური კრიზისი. კრიზისი გრძელდება და ბუნებრივია, მას აქვს თავისი უარყოფითი ეფექტები. ეს არის წარმოების კლება, მაღალი უმუშევრობა. კრიზისის პირობებში ქვეყანაში შემოდის ნაკლები უცხოური ვალუტა. ფინანსური რესურსის შემოდინების სერიოზული წყარო მხოლოდ უცხოური დახმარებაა. ამ პირობებში ლარის კურსის დევალვაცია გარდავალია. აქ საკითხი ასე დგას – როგორ გაკეთდება ეს დევალვაცია. როგორც იანვარში გაკეთდა, როცა ლარი დოლართან მიმართებაში 5 თეთრით გაუფასურდა, თუ გაკეთდება უფრო ნარჩარი, უფრო ნელი ტემპებით – 1-1,5 თეთრით თვეში.

– ანუ ლარის გაუფასურება გაგრძელდება?

– ეს გარდაუვალია.

– პურზე ფასის ზრდასაც უნდა გელოდეთ?

– იცით, რა, სადაც არის იმპორტული ნედლეული, ფასების ზრდა პირველ რიგში იქნება. ხორბალი, თუ ფქვილის მნიშვნელოვანი წილი კი შემოტანილია.

– ბატონი ლადო, პურზიდენტი აცხადებს, რომ საქართველოში ბიზნესის კეთება გაიოლდა და ამის შედეგია, რომ არაერთი წარმოება ისხნება. არის ინფორმაცია, რომ რეგისტრაციის იუსტიციის სამინისტროში გადატანით რეგისტრაცია გაძვირდა და გართულდა კიდევ.

– ერთი შემიძლია გითხრათ, კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ბიზნესის რეგისტრაცია, დაწყება არის საქმაოდ ადვილი. ეს არის მისასალმებელი. ჩვენი პრობლემა არა იმდენად კანონების გაუმჯობესება, არამედ კანონების დაცვაა.

– უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურიდან გამომდინარე პოლიტიკოსები და ექსპერტები ფიქრობენ, რომ ადგილი ექნება ქართული ბიზნესის შევიწროებას. თქვენც ასე ფიქრობთ?

– მოდით ნუ ვიჩქარებთ. საქართველოს მთავრობამ და პრეზიდენტმა აშკარად შეცდომა დაუშვეს არჩევნების პირველ ტურზე აქედან დიდი გაწ. “დამკვირვებელთა” კორპუსის გაგზავნით. აშკარად ეჭვს იწვევდა, რომ ესენი მართლა დამკვირვებლები იყვნენ. ეს იყო დიდი შეცდომა, მაგრამ მოდით სიტუაციას ნუ გავართულებთ, აქ უფრო მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური საკითხია. საბოლოო ჯამში, იანუკოვიჩი რომ გახდეს პრეზიდენტი, ის ხომ უკრაინის დაშლაზე არ წავა? მისი მთავარი ამოცანა იქნება, რომ იყოს უკარინის გამაერთიანებელი. ერთის მხრივ, ის იძულებული იქნება გააგრძელოს დასავლეთთან თანამშრომლობის პოლიტიკა, განსაკუთრებით ევროკავშირთან დაახლოების პოლიტიკა. ნაკლები იქნება უკრაინის მონაწილეობა ნატოს ხაზით. თუმცა ნატო-უკრაინის კომისია გააგრძელებს თავის საქმეს, ისევე, როგორც ნატო-რუსეთის კომისია მუშაობს. უკრაინის ურთიერთობა რუსეთთან ბევრად უფრო გაუმჯობესდება. თუმცა უკრაინის დასავლური ვექტორი ასევე შინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. ამ კონტექსტში ყოველთვის იქნება დასავლეთის მხრიდან ინიცირებული, რომ უკრაინასთან ერთად საქართველოც იყოს მოხსენიებული. აქედან გამომდინარე, არა მგონია, თუ ჩვენ მორიგ დიდ სისულეებს არ გავაკეთებთ, რომ უკრაინის მხრიდან საქართველოს მიმართ რაიმე უარყოფითი ნაბიჯები გადაიდგას.

– ანუ არ ფიქრობთ, რომ ქართული პროდუქციისთვის უკრაინული ბაზარიც დაიკარგება?

– ვეჭვობ, რომ შეიზღუდოს ქართული საქონლისთვის ეს ბაზარი. უკრაინა 2008 წელს გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი. და ჩვენ ეს ინსტიტუტი უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ რაიმე სავაჭრო ბარიერები არ აღიმართოს უკრაინა-საქართველოს შორის.

– ბატონო ლადო, ფაქტია ოკუპაციის მიუხედვად საქართველოში რუსული ბიზნესი წარმატებით ვითარდება. ხელისუფლება თპოზიციას მოღალატეებს ეძახის რუსეთთან დიალოგის გამო. რა არის ეს, ორმაგი სტანდარტი?

– მე მგონია, ყველას აქვს თავისი წილი პასუხიმგებლობა, მათ შორის მათაც, ვინც თავიდანვე ხელს უწყობდა საქართველოში რუსული კაპიტალის შემოსვლას და რუსეთთან ჩახუტებას. მკითხველს შევახსენებ, 2003 წლის ზაფხულში, სანამ რევოლუცია მოხდებოდა, რა მწვავე რეაქცია ჰქონდათ ოპოზიციის ლიდერებს, რომლებიც შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდნენ, იმის გამო, რომ ენერგეტიკის სამინისტრომ მემორანდუმი გააფორმა “გაზპრომთან” მაგისტრალური გაზსადენის შესახებ. ეს დიდი არაფერი იყო იმასთან

შედარებით, რაც ვარდების რევოლუციის შემდეგ მოხდა, როცა ქართული საილენტი და ოქრო რუსეთს გადავეცით, როცა საბანკო სექტორში რუსული სახელმწიფო ბანკი შემოვიდა. ლამის “გაზპრომს” ხსენებული გაზსადენიც მივყიდეთ. სატელეფონო კავშირშიც გვყავს რუსული კომპანია, რომელიც დიდი კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა. ყველა იმ ადამიანს, ვინც ამას ხელი შეუწყო, თავისი წილი პასუხისმგებლობა ეკისრება. დღემდე გაუგებარია “ენგურჰესის” ბედი რუსულ “რაოსთან” მიმართებაში. რაც შეეხება დღევანდელ ურთიერთობებს რუსეთთან, ზურაბ ნოღაიდელი თავიდან ბოლომდე არის ამ ხელისუფლების პროექტი, იმიტომ, რომ ხელისუფლებისთვის ძალიან შემაშფოთებელი იქნებოდა თუ რუსეთთან ურთიერთობას დაამყარებდა რომელიმე ნორმალური, ნდობის გამომწვევი პოლიტიკოსი, რომელსაც შეეძლობოდა ამით დიდი პოლიტიკური ქულების დაეგროვებინა. მაგრამ ზურაბ ნოღაიდელი არის ხელისუფლებისთვის მოგებული თამაში მისი პიროვნული არაპოპულარობის, მის მიერ დაშვებული შეცდომებისა თუ დანაშაულებათა გამო. როცა ასეთი არაპოპულარული პიროვნება იკავებს რუსეთთან ურთიერთობის ნიშას, პიროვენება, რომელსაც პოლიტიკური მომავალი ქვეყანაში პრაქტიკულად არ აქვს, ეს ხელისუფლებისთვის არის იდეალური. მე, რა თქმა უნდა, მაიცა და მაინც იმას არ ვიძახი, რომ სააკაშვილი შეხვდა ნოღაიდელს და მისცა დავალება, რომ რუსეთთან კავშირი უნდა დაამყაროო. მაგრამ ის, თუ ხელისუფლება როგორ ლოიალურად ეპურობა ნოღაიდელს, ეს ყველაფერს ნათელს ხდის. ნოღაიდელი იყო პრემიერ-მინისტრი. მისი პასუხისმგებაში მიცემა შეიძლება არა მარტო იმით, რომ მოიძებნოს რაიმე დარღვევები, არამედ ისეც, რომ დააბრალონ. ჩვენ ხომ ვიცით, რომ საზოგადოებაში ბევრ ვინმეს სწორედ ასე სდევნიან. აქედან გამომდინარე ის, რომ ნოღაიდელზე არის მხოლოდ სალანდლავი სიტყვებით პაექრობა, ამით ხელისუფლება თვითონ ხელს უწყობს სიტუაციის ფსევდო-გამბაფრებას: შეხედეთ, ეს არაპოპულარული ნოღაიდელი არის მოღალატეო. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნოღაიდელი არის ხელისუფლების პროექტი. ხელისუფლებას სჭირდება არაპოპულარული, მოღალატის იმიჯის მქონე პოლიტიკოსი. ხოლო რამდენიმე ბრიყვი ოპოზიციური პარტია შემდეგ ნოღაიდელს დაუდგა გვერდზე. შეიძლება ბრიყვები სულაც არ არიან – ფულის სუნი იგრძნეს და იმიტომ დადგნენ. თორემ ქვეყნის ინტერესში არც ნოღაიდელი შედის, არც ის ხალხი, ვინც ნოღაიდელის გვერდით დადგა და არც ის, ვინც მაგათ მოღალატეებს ეძახის. სინამდვილეში,

ჩემი დომა რწმენით, ეს არის ამ ხელისუფლების წაუგებარი თამაში. მისი ერთ-ერთი კარგად გამართული პროექტი.

— **ბატონო ლადო, რას იტყვით თემურ ბახილიას მიმართ წაყენებულ ბრალდებულზე მართებულია ეს პრეტენზიები, რომელსაც ძალოვანები ბახილიას უყენებენ თუ ეს უფრო პოლიტიკური ნიშნით დევნაა?**

— იცით რა, მე ნამდვილად გამიჭირდება შექმნილ ვითარებას სამართლებრივი კვალიფიკაცია მივცე, რამეთუ ამ დარგში ნამდვილად არ ვარ კომპენსირო. მაგრამ შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს მაინც პოლიტიკური ნიშნით დევნაა. ბახილია არის ის პიროვნება, რომელსაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ძალიან დიდი პოზიციური როლი აქვს შესრულებული ქვეყნისთვის. ძალიან ბევრს შეიძლება დაავიწყდა, მაგრამ იმათ შევასენებ, ვინც ბავშვები კარგა ხანია აღარ არიან, რა ხდევოდა 1993-94 წლებში წლებში — შიმშილი, სიცივე, პიპერინფლაცია, კუპონი, რომელზეც პურის გარდა, არაფერი იყიდებოდა. სწორდ ბახილია იყო საქართველოს ვიცე-პრემიერი, რომელიც კოორდინაციას უწევდა რეფორმებს, რომლითაც პურის ფასებიც გათავისუფლდა და ლარი შემოვიდა. რამდენს ებრძვიან ჩვენი პოლიტიკოსები ამ ლარს და ლარი დღესაც დგას. და თქმა უნდა, თემურ ბახილია მარტო არ იყო. მის გვერდით მისი თანამოაზრები ვიდექით. მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ თემურ ბახილია იყო სწორედ ამ მნიშვნელოვანი რეფორმების კოორდინატორი. მე ის ვიცი, რომ რამდენიმე საკითხში ამ ხელისუფლების მიერ მართულმა სასამართლომაც გაამართლა. ერთი რამეც: საქართველოდან ბახილია არ გაქცეულა. ეს ტყუილია, მოგონილია. 2004 წელს ის რამდენიმე თვე საქართველოში იყო. შემდეგ მიიღო მოწვევა და გაეროში დაიწყო მუშაობა. ის იყო გაეროს მისიაში, რომელიც ტაჯიქეთში მუშაობდა სიდარიბის დაძლევის პროგრამაზე. ის მალეაში ვერ იქნებოდა, რადგანაც მისი მისამართი იყო ინტერნეტში, რადგანაც ის გაეროს თანამშრომელი იყო. შემდეგ გადაყვენილ იქნა ყაზახეთში და კურირებას უწევდა მთელ ცენტრალურ აზიას. ახლა, როგორც ჩვენ გავიგეთ, ის არის აშშშ-ში. რუსეთში ხომ არ იმალება საქართველოსთვის არასასიამოვნო ხალხის მსგავსად? კაცი მუშაობდა გაეროში, ის არსად დამალულა. ამიტომ, მე მრჩება ასეთი შთაბეჭდილება, რომ ეს უფრო პოლიტიკური დევნაა, ვიდრე მართლაც რაიმე კრიმინალის საკითხი. იმიტომ, რომ აქ მართლაც კრიმინალი რომ იყოს, სულ ცოტა გაერო არ აიყვანდა სამუშაოდ...

— **ანუ დროულად ექნებოდა გაეროს ინფორმაცია საქართველოს მთავარი პროკურატურისგან?**

- ბასილია ბებნილი რომ ყოფილიყო, გაეროში როგორ იმუშავებდა? გაერო არის საერთაშორისო ორგანიზაცია. თუ ბასილიას მიმართ ეჭვები იქნებოდა, მას სამსახურში არ აიყვანდნენ. ბასილია ის კაცი იყო, რომელიც მუშაობდა ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მთავრობის სახელით: საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან, ევროკავშირთან, გაეროს განვითარების პროგრამასთან. ბოლოს საქართველოში მუშაობდა სიღარიბის დაძლევის პროგრამაზე, რომელზეც ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაცია გაეროს განვითარების პროგრამა იყო. თუ ბასილიაზე ეჭვები იქნებოდა, არავინ მას სამსახურს არ შესთავაზებდა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით 2003 წელს დაიდო საქართველოს სიღარიბის დაძლევის პროგრამა, რომელიც საერთაშორისო დონეზე შეფასებულ იქნა იმ დროს, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო პროგრამა.

- ამ პროგრამით ხელმძღვანელობს სააკაშვილის მთავრობა?

- ეს პროგრამა აღმოჩნდა მკვდრადშობილი. ანუ დოკუმენტი კი დაიდო, მაგრამ შევარდნაძის მთავრობა 2003 წელს არ იყო ქმედითუნარიანი და მას ეს პროგრამა არ განუხორციელებია, ხოლო რევოლუციის შემდგომ მოსულმა ხელისუფლებამ ყველაფერს, მათ შორის ამ პროგრამასაც, ხაზი გადაუსვა. მაგრამ აქ შეიქმნა ერთი კურიოზული რამ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი ყოველთვის აფიქსირებდა, რომ ის მუშაობდა საქართველოში სირარიბის დაძლევის პროგრამის ქვეშ. ანუ ჩვენი მთავრობა იმას არ აღიარებდა, რაზეც სავალუტო ფონდი მუშაობდა. უფრო მეტიც, 2007 წლის სექტემბერში სავალუტო ფონდმა ოფიციალურადაც კი განაცხადა, რომ საქართველოსთან სიღარიბის დაძლევის პროგრამით მუშაობა დავასრულეთო.

- ბასილიას პროგრამით იმუშავა საქართველოს მთავრობამ?

- მთავრობამ არა. სავალუტო ფონდი კი ამას ასე იძახდა. მთავრობამ ეს პროგრამა უარყო. ეს პროგრამა “ვარდების რევოლუციის” შემდეგ სერიოზულ გადამუშავებას მოითხოვდა. თუნდაც იმიტომ, რომ ეს პროგრამა არ ითვალისწინებდა კონსტიტუციურ ცვლილებებს – მინისტრთა კაბინეტის აღდგენას. ახლა ქვეყნის მართვის სულ სხვა მოდელია. გარდა ამისა, თავიდან გასაკეთებელი იყო პროგნოზებიც. რაც შეეხება ჩემს პირად ურთიერთობებს ბასილიასთან, ჩვენი ურთიერთობა იწყება ჩემი მთავრობაში მოსვლით. ბასილია ჩემი მეგობარია, და მე ვამყობ იმით, რაც საქართველოსთვის ერთად გვაქვს გაკეთებული პურზე ფასების ლიბერალიზაცია იქნება ეს, პიპერინფლაციის მოთოკვა, ლარის შემოღება თუ პირველი ბიუჯეტის მიღება. თემურ ბასილიას

მიერ განხორციელებული კოორდინაციით არაერთი სერიოზული საქმე აქვს გაკვთებული ამ ქვეყნის სასარგებლოდ იმ გუნდს, რომლის შემადგენლობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ნოდარ ჯავახიშვილი, დავით იაკობიძე და თქვენი მონა-მორჩილი. ასე რომ, ბასილიას პრობლემა მე მაინც უფრო პოლიტიკური დევნის თემა მგონია.

შორენა კოწოწაშვილი